№ 76 23 მკათათვე, პარასკევი 1866–1876 23 მკათათვე, პარასკევი № 76

რედაქცია
მელიქიშვილის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი
წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.
ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი
დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცერონი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

## საქართველო

### „მოსკოვის უწყებანი“ და ჩეჩნები

—

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილი იყო ამას წინეთ ჩრდილოეთ კავკასიიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომლის ავტორი იწერებოდა, რომ ამ უკანასკნელ დროს აქეთკენ საშინლად გახშირდა რუსების ხოცვა ჩეჩნებისაგანო.

„შესანიშნავიაო, იწერებოდა კორრესპონდენტი, რომ რამდენიმე კაცი მოგვიკლესო და არც ერთ მოკლულს არ ეტყობაო, რომ გასაცარცველად მოეკლათო; ამ მკვლელობაში ჩეჩნების სიძულვილი იხატებაო.“

„მოსკოვის უწყებათა“ რედაქტორმა უფ. კატკოვმა მოჰკრა ყური ამ ამბავს და თავის ჩვეულებრივის „შორს გამჭვრეტელობითა“ და ეჭვნეულობით დიდი, მძიმე, საშინელი რამ ნიშნები დაინახა ამ ორი-სამი რუსის მოკვლაში. ის ამბობს, რომ ეს სულ მაჰმადიანურ ფანატიზმის საქმე არისო; კავკასიის ჩეჩნები ისე კი არ ჰხოცენ რუსებს, როგორც უბრალო ავაზაკები ან ქურდები, არამედ როგორც მაჰმადის სარწმუნოებით გაშმაგებულები ქრისტიანებს, გიაურებსაო. ისინი ავაზაკობით კი არა, ხალხის მტრობით სჩადიან ამ ბოროტებებსაო. ამბობენო, რომ 150 მულლა მოსულა ჩაჩანში ოსმალეთიდამ და ისინი აქეზებენ ხალხს, ურჩევენ რუსების ხოცვასო. ყოველთვის, როცა რუსეთსა და ოსმალეთს შუა რაიმე განხეთქილება მომხდარა, ყოველთვის კავკასიაში გამოუგზავნიათ სტამბოლიდამ ამგვარი მქადაგებელ-მოლლები და ესენი მაჰმადის სახელით ავრცელებენ ხალხში რუსების სიძულვილს და იმათ დაუზოგველობასაო და სხვ.

ჩრდილოეთ კავკასიიდამ, ამ უკანასკნელ ხანებში, ჩვენ არაფერი ამბავი არ მოგვსვლია, და ამიტომ გადაწყვეტით არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ყველაფერი, რასაც უფ. კატკოვი ამბობს და რისთვისაც ის ესე ცხარობს, ტყუილი და უსაფუძვლოა-თქო.

მაგრამ, მეორე მხრით, ჩვენთვის საკმაოა უფ. კატკოვის ხასიათის ცოდნა, რომ ყველა იმის სიტყვა სარწმუნოთ არ მივიღოთ და არ დავიჯეროთ. უბრალო საქმეს გაზვიადებს, უბრალო გარემოებაზე, რომელიც ყურადღების ღირსიც არ არის, ხშირად იმდენს ჰყვირის, იმდენს რახა-რუხობს, რომ მთელს ქვეყანას ააყაყანებს, ბუზს სპილოდ აქცევს, რწყილის ოდენას მთად გახდის. იმის ლიტერატურულ ცხოვრებაში ამის მაგალითები ბევრია.

ერთი ამგვარ გარემოებათაგანია, უეჭველია, ის გარემოებაც, რომელზედაც ახლა ვლაპარაკობთ.

ორი-სამი კაცი რომ ისეთს ქვეყანაში მოჰკლან, როგორც ჩაჩანი, რა გასაკვირველია? რა გასაკვირველია, რომ ეს მკვლელობა მართლა ამ კაცების (და არა მთელი ხალხის) სიძულვილისა და შურის ძიების მიზეზით მოხდეს?

ყველგან ხდება ამ გვარი ამბები, მაგრამ ყურადღებას არ აქცევენ. აქ კი, კავკასიაში, უფ. კატკოვისთანა დაფრთხობილი და ბუზის გამასპილოებელი კაცები ყოველ ამისთანა უბრალო, უმნიშვნელო შემთხვევას, უეჭველად, რაღაც შეთქმულობას, სარწმუნოების ფანატიზმს და სხვა ამგვარ რამეებს მიაწერენ; მიაწერენ და იწყებენ ყვირილს: „არიქა, ამოგვწყვიტეს, გვიშველეთო!“

ჩვენ არ გვაკვირვებს ამგვარი მოქმედება „მოსკოვის უწყებათა“ რედაქტორისა; არ გვაკვირვებს, რომ ამისთანა უბრალო „შემთხვევებს“ ის საზოგადო, მძიმე მნიშვნელობას აძლევს; ეს იმის ხასიათი, იმის ხელობაა; მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ის, რომ უფ. კატკოვი „კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციას უზრუნველობასა და გაუფრთხილებლობას“ აბრალებს....

ს. მ.

## დღიური

—

„თფილისის მოამბის № მე-161-ში დაბეჭდილია შემდეგი:

„ჩვენ მივიღეთ გუშინ, 20 ივლისს, „ჰავასის აგენტობისაგან“ შემდეგი დეპეშა:

„პარიჟი, 19 (31) ივლისს. სტამბოლის სომხურ გაზეთში „მანზუმეი-ეფქიარში“ დაბეჭდილა ამბავი, რომ კავკასიის აქეთა მხარი ალსდგა რუსის წინააღმდეგო. მეორე სტამბოლელმავე სომხურ გაზეთმა „მაჯუმეი-ევადისმა“ დაბეჭდა, რომ ეს ამბავი ტყუილი და მოგონილი ამბავიაო. ხალხმა ამ გაზეთის წინააღმდეგ მანიფესტაცია მოახდინა. „მაჯუმეი-ევადისის“ რედაქტორი დატუსაღებულია.“

მეორე დღეს (21 ივლ.) ამავე „თფილისის მოამბის“ რედაქციას შემდეგი დეპეშა მოსვლია ამავე „აგენტობისაგან:“

„პარიჟი, 21 ივლ. (1 აგვ.) ყველა

## ფელეტონი

### მარშლის გულმტკივნეულობა

(ალფონს დოდეს მოთხრობა)

—

ორი დღეა საშინლად ომობენ! მძიმედ აბარგულ სალდათებმა გაატარეს ღამე ნიაღვარში, კარზე, და საშინლად დაიქანცნენ. ახლაც აგერ სამი საათია ჰყრიან ის საცოდავები თოფი ხელში წუმპოიან გზებზე, ტალახიან მინდვრებზე. ისინი, დაქანცულები, უძილოები, მოწუმპლულები ეკვრებიან ერთმანერთს გასათბობლათ. მიუყუდიათ თავი ერთმანერთის ბარგზე, მდგომიარე სძინავთ და იმათ მძინარე სახეს უფრო აშკარად ეტყობა ღალალვა და შეწუხება.

ამას დაუმატეთ შავღრუბლიანი ცა, წვიმა, ტალახი, უვახშმობა, მძლავრ მტრის სიახლოვე და თქვენ გაიგებთ რა მდგომარეობაში იყვნენ ის საცოდავი სალდათები.

ზარბაზნებს თავები ტყისკენ მიუქცევიათ, ასე გგონია იქ ვინმე ეგულებათო, თოფებიც დამალული არა აქვთ, სუყველაფერი მზათ არის ომისთვის... მაგრამ რა აკლიათ, რომ იმას არ იწყობენ? რას ელიან? ელიან ისინი თავის უფროსისაგან ბრძანებას და ელიან ამაოდ.

შორიც არ არის ამ უფროსის და იმის აფიცრების სადგომი; ისინი დგანან ლუდოვიკო მეცამეტის მშვენიერ, სწორედ თავადურ, მარშლურ სასახლეში, რომლის აგურის კედლები გაელვარებულან წვიმისგან, რომელიც დასცქერის ერთ მხრით ხევს და აჰყვავებულ მდელოს, მეორეს მხრით ფოცხით გაკაფულ მშვენიერ სწორე გზას, სარკესავით წმინდა ტბას, სადაც დასცურავენ ქრუნები; ბანის ქვეშ გამართულია დიდი გალია, სადაც სხედან ოქროს-ფერი ხოხბები და ფარშევანგები და ისინი თავიანთ ჰყივილით ტყეს ავსებენ. ამგვარი მყუდროება, ყველაფერში რიგი არის ახლო ომის ველთან!

ცოტა შორს აქედამ წვიმა ღრმად ღრღნის გზებს, აჩენს დიდ ტალახს; აქ კი იგივე წვიმა სჩანს მხოლოდ ლამაზ, არისტოკრატულ ტალღათ, შემნახველათ ლამაზ აგურების სიწითლისა და მინდვრის სიმწვანისა, გამაელვარებლათ ქრუნის ფრთებისა და ხის ფურცლებისა. აქ ყველაფერი ბრჭყინავს, აქ ყველგან წყნარა.

ვის ეგონებოდა ეს ჯარის უფროსის და იმის აფიცრების სადგომათ, თუ რომ მარშლის ბაირაღი არ ეჭობილიყო სახლის ბანის წვერზე, თუ რომ ორი სალდათი არ მდგარიყო ყარაულათ? ცხენები განისვენებენ თავლაში; აქეთ-იქით დაინახავთ კოხტა ლაქიებს, რომელნიც დაეხეტებიან სასახლის წინ, დაინახავთ რამდენიმე წითელ შარვლიან მებაღეს, რომელიც ზარმაცად ატარებს ნიჩაბს დიდ უშველებელ ეზოების ქვიშაში.

ეზოდგან დაინახვება ზალა, რომელშიაც სდგას ნახევრად ალაგებული სტოლი, ზედ აწყვია გახსნილი ბოთლები, ცარიელი გაშავებული სტაქნები, დალაქებული, დაჭმუჭნული სუფრა. ეტყობა, რომ წვეულება გათავებულა, სტუმრები წასულ-წამოსულან. მეორე ოთახიდამ კი ისმის ხარხარი, ამაღლებული ხმა, ბილლიარდის შარების რახა-რუხი, სტაქნების ჯახუნი.

მარშალი გართულია ბილლიარდზე თამაშობაში და ამიტომაც ჯარს იმისგან აქამდი არა ბრძანება არ მიუღია. იმგვარი ხასიათის კაცი იყო მარშალი, რომ რაკი დაიწყებდა ბილლიარდზე თამაშობას, ვერაფერი ქვეყანაზე ვერ დაუშლიდა იმას იმის გათავებას.

ერთი სიტყვით, ბილლიარდი იმას გატაცებით უყვარდა. აგერ შეხედეთ როგორ წარბებ შეკრული თამაშობს ის, გეგონებათ ომშიაო, მუნდირი ჩაუცვამს, გული მოჭედილი აქვს აბზინდებით, თვალები როგორ დაურბის, ლოყები როგორ ანთებია, ის მთლად გაცხარებულია ლხინისგან, თამაშობისგან და ღვინისგან. მარშალს გარს შემორტყმიან იმის გულმოდგინე მსახურები, თაყვანისმცემი ადიუტანტები და ალტაცებაში მოდიან ყოველი იმის ხელის გაქნევისგან.

აქ ამ მყუდრო ზალაშია ეპოლეტების და მდიდარ ქუდების, ჯვრების და ექსილბანტების რაკუნი, ლამაზი ღიმილი, ზრდილობა, დაბლა თავის დაკვრა, ახალი მუნდირები და სხვა ძვირფასი ნაკერები; ცოტა შორს კი — დაჭუჭყიანებული სალდათის შინელები, ტალახიან გზებზე დაყრილები და წუმპოებში ლალაფებულები.

მარშალს ეთამაშება ერთი პატარა ხუჭუჭ თმებიანი, ბაც ფერჩატკებიანი, წითელი კაპიტანი. ის ძალიან კარგი მოთამაშეა ბილლიარდზე და თუ უნდა, რაც ქვეყანაზე მარშლები არიან, სუყველას გააცურებს. მაგრამ იმან იცის, რომ თავის უფროსთან ფთხილად უნდა ეჭიროს თავი და

გაზეთებში დარწმუნებით იწერებიან, რომ კავკასიაში ხალხის აჯანყება არისო. მოიწერეთ, რომ ეს ამბავი მართალი არ არის, თუ მართლაც ტყუილია.“

ამ დეპეშების პასუხად, „თფილისის მოამბის“ რედაქციას შემდეგი დეპეშა გაუგზავნია:

„არავითარი ხალხის არეულობა არ არის არც კავკასიის აქეთა და არც იქეთა მხარეში. მხოლოთ სამეგრელოში რვა სოფლის გლეხებმა, რომელნიც უკმაყოფილოდ იყვნენ თავიანთ ადრინდელ ბატონებზე, უარი სთქვეს მოსავლის მეოთხედის მიცემაზე. ადმინისტრაციამ რამდენიმე გლეხი დაატუსაღა; სხვებმა იმათი განთავისუფლება მოინდომეს. მაშინ ორჯერ-სამჯერ გაისროლეს თოფები და გლეხები გაიქცნენ, მხოლოთ რამდენიმე კაცი დაეცა მკვდარი და დაჭრილი. ეს იყო მიწის საქმის თაობაზე მოძრაობა და ამ მოძრაობას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა, წმინდა ადგილობრივი იყო.“

* * *

მივაქცევთ ვისიც ჯერ არს, იმის ყურადღებას ამ წერილზე, რომელიც ერთი აჭარელისაგან მოგვივიდა ჩვენ ამ დღეებში:

„უველა დუნის კაცმა იცის, ბატონო მეგაზეთევ, რომ ჩვენ აჭარლები ფუხარა ხალხი ვართ. ჩვენში ფული ძალიან ძვირი საშუარია, ჩემო ძიავ.

„ამიზა ჩვენ მოგვაქ ოზურგეთში გასაყიდათ ჩვენი ხელით მონამუშავები: კაკალი, პური, ლობიო, ცერცვი, ერბო და ყველი, ვყიდით და იმით რაც გვესაჭიროება: მარილი, მატყლი და სხვა ვყიდულობთ და მიგვაქ შინ.

„დღემდი ამით ვირჩენდით თავს და დღეს კი იგიც მოგვესპო. „უბედურ კაცს ქვაი ალმართში მიეწიაო“, ისთე დაგვემართა. შარშან, შარშანწინის წინ და კიდევ იქით ამისანა ხურაგებს რომ ჩამოვიტანდით გასაყიდათ, დამოჟნის უფროსი არაფერს არ გვახთიებდა (ესე იგი ბაჟს) და ახლა ყინცლა ახალი ნაჩალიკი მოსულა და იმან კი რათაც ჩვენი საქონელი ღირდა, იმოდენი ბაჟი აგვართვა.

„მე მქონდა ორი ოყა ერბო, რომლის ბაჟი ამართვა ორი ყურუში (ორი შაური) და რაცლა ქაღალდი დასწერა კიდავ და იმაში რვაი ყურუში, სულ ათი ყურუში. ჩემს არხატაშს (ამხანაგს) ერთი ცხენი ჰყავდა მარილის წასაღებად და იმაზედაც ბაჟი აართვა და მეორეს საშარვლე შალი ჰქონდა შესაკერავად წამოღებული და ერთი აბაზი ბაჟი გადაახთია. ის ორი ოყა ერბო რომ გავყიდე, ბაჟს გარდა აღარაფერი ქარი არ დამრჩა და ახლა ქე მივალთ შინ ცარიელი.

„აღარ ვიცით ახლა ამდონი ბაჟი მთავრობიდგან არის ბრძანება თუ არა. თუ ასთე გვახთიეს, ჩვენ არაფერის ჩამოტანა არ შეგვიძლიან და კიდევაც უნდა დავეთხოვოთ ოზურგეთში სიარულს.

„აი ძიავ, ეს არის ჩემი ამბავი, და აწ თქვენ როგორც გენებოს ისთე ჩაგვიწერე თქვენს გაზეთაში, ეგებ დიდმა კაცმა წაიკითხოს და ეს თუ მთავრობის ნება არ არის, აღარ გადაგვახდიონ ბაჟი.

სოფ. ღორჯომელი მუხამედ ირემაძე“.

* * *

ერთი რუსული გაზეთი იწერება, რომ შავი ზღვის მაზრის ადმინისტრაციას განზრახვა აქვსო, რომ რითაც შეიძლება შეუმსუბუქოს მდგომარეობა იმ რუსებს, რომელნიც რუსეთის შუა გუბერნიებიდამ ამ მხარეში გადმოსახლების სურვილს განაცხადებენო. ამ გადმოსახლებულებს ისევე უპირატესობა მიეცემათო, რაც სახელმწიფო მიწებზე დასახლებულ გლეხებსა აქვთო.

* * *

მეორე რუსულ გაზეთში იწერებიან, რომ ამ მომავალი სექტემბრიდამ ჩვენი ტეხნიკური საზოგადოების სახელოსნო შკოლა გადაკეთდება ოთხ-კლასიან რკინის გზის შკოლათაო, რომელშიაც სამგვარი შაგირდები იქნებიანო: პანსიონერები, ნახევარ-პანსიონერები და მომსვლელებიო. სწავლის ფასს მხოლოთ ისეთს შაგირდებს გადაახდევინებენ, ვისაც არ გაუძნელდებაო. სწავლის პროგრამმა ისეთივე იქნება, როგორც ოთხ-კლასიან უეზდის სასწავლებლებშია. კანიკულეების დროს შაგირდები მიხაილოვოში (ხაშურში) რომ რკინის გზის ქარხნებია, იქ იმუშავებენო და ამ ნაირად პრაქტიკულად შეისწავლიან ხელობასაო.

* * *

რადგან ყოველგვარი ვაჭრობა აკრძალულია, თუ მოვაჭრეს კანონიერი ბილეთი არა აქვს ქალაქის გამგეობისაგან აღებული, ამის გამო, როგორც ჩვენ გვითხრეს, პოლიციამ აღუკრძალა ვაჭრობა იმ პატარა ბიჭებს, რომელნიც ქართული და რუსული წიგნებით დატვირთულნი დადიოდნენ ქუჩებში და კარგა ბლომათ ჰყიდდნენ განსაკუთრებით ქართულ იაფ გამოცემაებს. წიგნების ვაჭრობისათვის, კანონით, ამ სავაჭრო ბილეთს გარდა, პოლიციის ანუ ადმინისტრაციის მოწმობა არის საჭირო იმაში, რომ ეს წიგნების გამყიდველი კეთილ-სანდო კაცია.

სასურველია, რომ ჩვენ წიგნების გავრცელებას ამ მხრით დაბრკოლება არ მიეცეს: ბილეთის და მოწმობის აღება ადვილია, რადგან ფული ცოტა ეჭირება და იმისთანა კაცები, რომ „კეთილ-სანდო“ არ იყოს, ჩვენში არ არიან.

* * *

ბორჯში მოდათ შემოსულა წყალში ბანაობა; ჩვენი იქაური კორრესპონდენტი გვწერს, რომ „ყოველ დღე სამჯერ დილა-შუადღე-საღამოზედ, მტკვრის პირზედ დუქნობით დაეტარებიან როგორც მამრობითი ისე მდედრობითი სქესები, ხუთი წლის ყმაწვილიდამ დაწყებული მოხუცებულებამდინ, და ჰყუმპალობენ, სანამ არ გაგრილდებიან. განათლებული მანდილოსნებისთვის და, საზოგადოთ, არისტოკრატებისთვის წყალში არის გამართული სახლი და ფაეტონებს ერთი „რიხინ-რიხინი“ გააქვს კენჭებზედ. სხვა, ჩვენისთანა დაბალი წოდების საზოგადოება კი ისე ჩადის და ერთი „უპუპუპუ“ გააქვსთ ცივი წყლის გამო!.. გათეთრდებით, მერა მოგვივა, რა ვიცი!... ბარე ორი შემოგვენატრებთ წყლის სიახლოვეს, მაგრამ ვერ მოვართვით!... მობრძანდით ბორჯში და ისარგებლეთ!... ბაჟი არ არის, ნუ გეშინიანთ!...

„კარგია, კარგი მოგივიდესთ, ბანაობა; მაგრამ ცოტა ყმაწვილებზედ თვალის დაჭერას და სიფრთხილეს, —ჩემი დარიგება რა საჭიროა, მაგრამ მაინც ვიტყვი, —თავი არ ასტკივდება. როგორც მოგეხსენებათ ყმაწვილების ხასიათი, ერთი მეორეს ჯიბრზედ ცურაობს, უნდა გამოიჩინონ სიყოჩაღე; ამისათვის კარგა ღრმა წყალში შედიან ხოლმე და სწავლობენ ცურაობას ზოგი ბუშტებით, ზოგი ისე. არ ჰფიქრობენ, რომ ადვილად შეიძლება ფეთერაკი მოხდეს და თხელ წყალშიაც დაიხრჩონ.

„მაგალითი: ამას წინეთ, ბანაობდნენ, სხვათა შორის, ორი დები. მეტის-მეტი წყალში ხტომითა და

---

ეცადოს არ მოუგოს და არც ისე ადვილად წააგოს. ერთი სიტყვით, ამ კაპიტანს ისე ეჭირა თავი, რომ კარგი წინ-წასვლა მოელოდა სამსახურში. ეხლა მარშალს აქვს თხუთმეტი, კაპიტანს ათი. —სულ ესე რომ წაიყვანოთ თქვენი საქმე, ბატონო კაპიტანო, უფრო დაჯილდოებული დარჩებით, ვინამ გარეთ რომ საცოდავ სალდათებთან ერთად ნიაღვარში მდგარიყავით, გაგეტალახიანებინათ თქვენი მუნდირი, გაგეშავებინათ თქვენ ექსილბანტების ვერცხლი, გეცადნათ თქვენ უფროსის ბრძანებისთვის, რომლის მიღებასაც ვერ ეღირსებოდით.

ძალიან გასართობი პარტიაა. შარები მიფრინავენ, ერთმანეთს ედებიან, მაუდი ხურდება....

უეცრად ისმის ზარბაზნის სროლა, ცაში რაღამაც გაიელვარა; აგერ ჩუმ- მაგრამ ძლიერ ხმაურობისაგან ფანჯრის მინებმა დაიწყეს რაკა-რუკი.

უველას ოთახში დააკანკალა, აღელვებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს. მხოლოდ მარშალმა არაფერი არ ნახა, არაფერი არ გაიგო. ის მისწოლია ბილლიარდს და ჩაფიქრებულა სით გაავაგოროს შარი... გაიელვა ერთხელ, გაიელვა მეორეთ...

ზარბაზნის სროლა სულ უფრო და უფრო ხშირდება. ადიუტანტები მიერბიან ფანჯარას.... „განა პრუსიელები დაიწყებდნენ ომს?“ ვიღაც კითხულობს. „დიე, დაიწყონ!“ თქვა მარშალმა; დააყენა თეთრი შარი და უთხრა კაპიტანს: „თქვენი ჯერია!“ მთელი შტაბი აკანკალდა. რომელი უშიშარი გმირი შეედრება მარშალს, რომელიც ომის დროს ასე დინჯად თამაშობს ბილლიარდზე?

ამ დროს ხმაურობა საშინლად ძლიერდება: ცეცხლის ბურთები დაჰფრინვენ ჰაერში. ცეცხლი ედება ჯერ ერთ ხეს, მერმე სახლთან ახლოს მთელ მინდორს, მთელი ბაღი დამწვარა. შფოთავენ თავიანთ ყაფაზაში ფარშევანგები და ხოხბები. შფოთვენ თავლაში არაბული ცხენები, რა იგრძნეს წამლის სახლოვე. უმთავრესს შტაბში ყველანი მოძრაობაში მოდიან, დეპეშა დეპეშაზე მოსდით, კაცები მორბიან მარშალს კითხულობენ.

მარშალი მიუკარებელია. ვერაფერი ვერ დაუშლის იმას შეასრულოს თავის პარტია. „თქვენი ჯერია ითამაშოთ, კაპიტანო!“ ისმის იმისგან. მაგრამ კაპიტანი მეტად გაერთო, დაივიწყა თავის ძველი ოინობა და ისეთ გვარათ გაათამაშა ორჯერ შარი, რომ თითქმის მოგებულიცა აქვს პარტია. ეხლა კი მარშალი ბრაზდება. განცვიფრება, წყენა გამოიხატება იმის ავ სახეზე.

სწორეთ ამ დროს ისმის ცხენის მოჭენება ეზოში. ერთი ადიუტანტი თავიდამ ბოლომდი დატალახიანებული უეცრად გადმოხტება თავის ცხენით ფანჯრის წინ ყვირილით: „მარშალო! მარშალო!!“

უნდა გენახათ რანაირათ მიიღეს ის! ჯავრით გაბერილი, ინდაურსავით წითელი. მარშალი ბილლიარდის ჯოხით ხელში ეჩვენა ფანჯარაში.

— რა არის? რა არის?... აქ არსადაა ყარაული?

— მაგრამ, მარშალო...

— კარგი... ეხლავე... ელოდნენ ჩემ ბძანებას!...

და ფანჯარა ფიცხლავ იკეტება.

ქარი საცოდავ სალდათებს პირში აყრის წვიმას და საფანტს. მთელი ბატალიონები მიწასთან გასწორდნენ, იმ დროს როდესაც სხვები თოფები ხელში უსარგებლოთ, უმოქმედოთ, რჩებიან და არ ესმით რად არიან ამ დროს ესე უსაქმოთა. ელიან ბძანებას, განკარგულებას. მაგრამ სიკვდილისთვის ბძანება საჭირო არ არის და ასობით ვარდებიან გაცივებულნი ბუჩქებში და ხევებში დიდ, მშვიდ სასახლის წინ. ამ დავარდნილებსაც არ ეშვება საფანტი და იმათგან პირაღსნილ იარებისაგან მომდინარეობს ჩუმათ საფრანგეთის უხვი სისხლი...

ზევით კი, ბილლიარდის ზალაში ადრინდელივით საშინლად მხურვალედ მიდის საქმე: ჩვიდმეტი! თვრამეტი! ცხრამეტი! ნიშნებს აღარც კი ასწრობენ.

ომის ხმა უფრო და უფრო ახლო ისმის. მარშალს უნდა მხოლოდ ერთი მოიგოს. ბაღში მოფრინავენ ყუმბარები; აგერ ერთმა იმათგანმა გაიელვარა აუზზე. წამს ტყდება აუზის სარკესავით მოელვარე პირი და ქარს მიაქვს ჟრუნის დასისხლიანებული ბუმბული. ეს უკანასკნელი ქუხილი იყო. ეხლა კი საშინელი სიჩუმეა. ისმის მხოლოდ, რომ წვიმა მოდის, რაღაც ურიგო ტყაპუნი, გვონია ჯარი მორბისო... თითქმის მთელი ჯარი მიწასთან გაუსწორებიათ. მარშალმა თავის პარტია მოიგო.

გ. თ.

სიხარულით აკი ჩ ყურჭუმალავდნენ მორევში. ერთი, როგორც იყო, გადანაარჩუმეს, მეორემ კი, საწყალმა, თავი შესწირა! ამნაირად დაიღუპა, მოაკლდა გორს პატიოსანი, მარგალიტივით ქალი! ბევრი ტირილი და ვაება, მაგრამ გვიან!..

* * *

იგივე კორრესპონდენტი გვწერს: „შარშანდელ „დროების“ ერთ ნომერში იყო აწერილი სარკის წმ. გიორგის ეკკლესია, რომელიც იმყოფება გორის უეზდში ციციანთ ტყეში. როგორც იქ იყო მოხსენებული, ამ ეკკლესიის კარები თავის დღეში არ იკეტებოდა, რადგანაც იმედი ჰქონდათ იმის „ძლიერებისა, მადლისა და სიცხოვლისა“, რომ არა თუ კაცი, „ფრინველიც ვერაფერს გაბედავდა აელო იმ ეკკლესიის გალავანში.“ (ამბობენ, ერთხელ მელია შესულა შიგა, აულია სანთელი და თავის ჭკუით უნდა გამოეტანა, მაგრამ იქვე ქვათ იქცაო.) ჰო, იმას ვამბობდი, რომ იმის კარები არ იკეტებოდა, რადგანაც იმედი ჰქონდათ, რომ ვერავინ ვერ გაბედავდა იქ ქურდობას. მაგრამ დახეთ იმ რჯულზედ ხელ-აღებულს ავაზაკებს! მისულან, გაუღიათ კარები და რაც რამე მოიძევებოდა, სულ გამოულაგებიათ, ჯვრისა და ხატებისთვის თვლები დაუთხრიათ და წაბძანებულან თამამათ. ეხლა კი კეტამენ თურმე კარებს, მაგრამ რაღა დროს!..“

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ქიზიყი**, 15 ივლისს. ისეთს მოხელეებსა და მსაჯულთ მოუყრიათ ამ ჩვენს მაზრაში ამჟამად თავი, რომელთაც არ შეუძლიანთ რომლისამე საქმის აღსრულება; იმათ არაფრის თავი არა აქვთ და არცარა იციან თავის მოვალეობისა; მხოლოდ ის კი აქვსთ სახეში, რომ ვის რა გაგლიჯონ და ვის რა წაართვან.

ამისთანა ხალხისაგან ჩვენი ქიზიყი წავიდა ხელიდანა. სხვათა შორის, ერთმა გლეხმა შემდეგი ამბავი მიამბო, რომელიც თვითონ გადახდენოდა:

„ა ერთი თვე არის, რაც დავიწყე ჩვენს მოხელეებთან საჩივარი და უჩიოდი მავანსა და მავანს კაცს 57 მანეთსა. მატარეს მრთელი ერთი თვე; თურმე მოხელეებს უთქვამთ ჩემი მოპასუხისათვის, რომ აი მავანი კაცი გიჩივის შენ 57 მანეთსა და უკეთუ შენ ერთს თუმანს მოგვცემ, იმის საჩივარს გავაუქმებთო. ჩემი მოპასუხე შეჰპირებია, რომ ხელში კი არა მიჭირავს-რა და პატარა ხან საქმე დააგვიანეთ, ვინამ ერთს თუმანს ვივალებ სხვისაგანაო. თურმე იმათაც შეუგვიანებიათ საქმე: რამდენჯერაც მივალ, იმტენი მეტყვიან: „მავანსა და მავანს დროს გავასამართლებთ თქვენს საქმესაო.“

„ბოლოს ჩემი საქმის გარჩევაც დანიშნეს, მარამ იმისთანა სამართლით ღმერთმა იმათა და იმათ ცოლშვილს გადმოხედოს, რა გულითაც იმათ მე გამომისტუმრეს ცარიელი და ააღებინეს 57 მანეთზედ ხელი.

„აი, ძმაო, ესეთი ცეცხლი ტრიალებს ჩვენს ქიზიყში მოხელეებისაგან და ესეთს საქმეს მართებენ კაცს ქრთამისაგან; და ამისთანა უპატრონობისაგან მოელო ბოლო ჩვენს ქვეყანას. და დღეს არიან ყველა ქიზიყელები გარდახვეწილნი სხვათა ურჯულოს ქვეყნებში დღიურის ლუკმისათვის და იმავე დღიურის ლუკმის შოვნისათვის იმათ იქვე ელებათ ბოლო, რადგანაც ვერ აუტანიათ იქაური ჰავა და იხოცებიან გზაზედ, სადაც იმათ ეხვევა ყვავი, ყორანი და მიაქვთ იმათი ლეში, ვინ იცის საით, და ჰკარგამენ თავიანთ სამშობლო მამა-პაპის ბინას, და სამარხს ალავსა, და მზათ არიან ვინცკი დარჩომილან ცოტა ოჯახის შვილები, ესენიც გარდახვეწნასა....“

ასე კი ილაპარაკა იმ გლეხმა. როცა ერთს მოხელეს ჩამოუგდე მე ამ გვარს იმათს მოქმედებაზე ლაპარაკი, იმან გაჯავრებით შემომხედა და ესე მითხრა:

— ყველა, ბატონო, მიხედულობით არ არის? აბა ერთი შენზე დიდმა ერთი რამე ჩაიცვას, თუ შენც მაშინვე არ გაიქცე და არ იყიდო, თუ ჯიბეშიაც მოგიძევება რამე და მაშინვე არ ჩაიცვა! შენ ძმაო, ჩვენი გკვირს? აბა ერთი მითხარი, მე იმტენს რას ავიღებ და ან ვინ რას მომცემს? ჩემი აღებული ქრთამი არის ერთი თუნგი ღვინის ფასი ან ერთი მანეთი, ისიც მაშინ, თუ გაუკეთე რამე! აბა ახლა სხვებს მიხედე...“

ყოველი სოფლის მცხოვრებნი სიხარულით მოველოდებოდით ძველი მამასახლისისდამსაჯულებისგამოცვლას ახლების დაყენებასა. ჩვენ გვეგონა, რომ ახლები კარგათ და უქრთამოთ განსჯიან საქმესაო; მაგრამ არა.

ახალ მამასახლისებს დაურიგეს ისევ ბეჭდები (ღერბები), რომელიც პირველად დაურიგებიათ და ფასიც მიუღიათ იმ ღერბებისა; ეხლა კიდენ მეორეთ იყიდება განა თუ იმ ფასად, როგორც ღირს, (მგონია, არ უნდა ღირდეს სამს მანეთზედ მომატებული), მაგრამ დამრიგებელი ამა ღერბებისა იღებს სამს თუმანს, ზოგს სოფელში ოც-და-ხუთს მანეთს, ზოგს სოფელში მეტსა და ზოგს ნაკლებსა. გარდა ამისა, კიდევ დაურიგა იმავ ღერბების დროსვე, სამ-სამი წიგნი. პირველი, რომელშიაც უნდა ჩასწერონ გარდაწყვეტილობაები, მეორეში ჯარიმა და მესამეში—ვინც საჩივარს ანუ თამასუქს შაიტანს, ისინი უნდა ჩაიწეროს. ითოეული ამ სამი წიგნისა ბევრი-ბევრი რომ ესთქვათ ორ-ორ აბაზათ თუ ღირება, სამივე 1 მ. 20 კაპეიკად. მაგრამ ამ წიგნების დამრიგებლები კი ყველა წიგნში ერთად თითო სოფელზედ 5 მან. და 50 კაპ. ახდევინებენ! ინგარიშეთ, ეს ქიზიყი რამდენს სოფლათ ირაცხება და მაშინ დარწმუნდებით—თუ მარტო ამ ორი საგნიდამ რამდენი შემოსდით იმათა. თუ სოფელმა ან მამასახლისმა, ფულის ჩაბარების დროს კვიტანციის თხოვნა გაბედა, გარისხებული გამაგდებენ გარეთ: „მამაოხერო, რა კვიტანცია გინდაო!“ მიაყვირებენ.

ამაზე უფრო ნაკლები შეწუხება არ აღგია ხალხს, წინა წლების გადაუხდელი ხარჯის (ნედოიმკის) მოკრების დროსაც. მაშინ იგზავნება ჩინოვნიკი ჩაფრებით (ზეკუცია) მის შესავსებლათ ამ პირობით, რომ ის ნედოიმკა ანუ თუ რომელიმე გასაკეთებელი გზა იქნება, უნდა შესრულდეს ერთ კვირაზედ, და უკეთუ სოფელი იგი საჩქაროთ მოასწრობს ან ვალით და ან სხვა რომლისამე ღონის-ძიებით ორს ანუ სამს თუმანს, ანუ როგორც შესჯერდება მათ ჩინოვნიკი, მაშინ დარჩება აღუსრულებელი, არა თუ ერთს კვირას, არამედ ორსა და სამ თვეს, იქნება ექვსსაც...

დ. ნასიძე.

**ზემო-იმერეთი**, 19 ივნისს. იმერეთში ძრიელ ხშირათ შეხვდებით ბევრს ოჯახებში აკეთებენ რაღაც საყუათო მაჯუნს ავათმყოფისათვის; კოთხოჯის მაჯუნი მეც ხშირათ მიხმარია კუჭის ტკივილისა და გულჭიდების დროს. მაჯუნი არის მურაბა შეზავებული სხვა და სხვა წამლებით.

ყველაზე უკეთესი ჯან-ღონესთვის და განსაკუთრებით მოხუცებული ქმრებისათვის ჯან-ჯანფილის მურაბა არის, რომელსაც ამზადებენ სპარსელები; მაგრამ ისე ძვირია, რომ იმერეთში, ერთი ღენერლის მეტი, ვერავინ ყიდულობს....

მაშ ეს სამღვდელო მაჯუნი რაღა არის? სამღვდელო მაჯუნი არის წამალი სრულიად განმათავისუფლებელი ამ ცოდვილი სოფლისაგან, რომელსაც ხშირათ ხმარობენ იმერეთში.

ს. პაცხს ცხოვრობს ორი ღრმა მოხუცებული ცოლ-ქმარი, მღვდელი თ. პ—ძე და მეუღლე მისი დ—ი. მღვდელი მოხუცებულობისა გამო, გადამდგარია და სარგებლობს დამსახურებული პენსიით. ეს ორი ცოლ-ქმარი მოსწრებიან მესამე დგმას, მესამე თაობას თავის ჩამომავლობისას.

ამ ცოლ-ქმარს მხოლოთ ერთი ქალი გააჩნიათ, რომელიც ჰყავს ცოლად კერძო დიაკონს სპ. ხ—ძეს, რომელიც ჩასიძებულია და სახლობს სიმამრის ოჯახში.

მღვდელს ვაჟი არა ჰყავს, მოკდომია, მაგრამ დარჩენია იმის ვაჟი, რომელიც დიაჩოქათ იყო, ისიც დაცოლშვილიანებულია.

ამ მღვდელმა მისცა თავის სიძეს მესამედი მამული, რომელიც გაჰყო სამ წილათ: ერთი წილი თვით აილო, მეორე თავის შვილის-შვილს ა—ს და მესამე სიძეს; თვითონ შვილისშვილთან ცხოვრობდენ.

ამაღლება—დღეს მოხულებულმა დედაკაცმა გამოაცხო ხაჭაპური, ჩაურია სანსალა და მისცა ცხელი ხაჭაპური თავის შვილის-შვილს არხიპს.

არხიპამ დაუწყო ჭამა. მოტეხა და ერთი ნაჭერი ბებიას მიართო... ბებიამ იწყო ფაცა-ფუცი და [illegible] იქითკენ, შეანახა. მეორე მოუტეხა არქიპამ ბავშვს, რომელმაც ჩაიგდო პირში.

ჩაიდო თუ არა, ეცა დ—ნა ბავშვს და გამოგლიჯა პირიდან და ძაღლს მიუგდო; ბავშვს იმწამსვე პირი გამოტყავა, ძაღლი კი მაშინვე წაიქცა და თან არქიპა დიაჩოქიც.

მკვდარი გასჭრეს. ექიმმა ნახა, რომ სულ დამწვარი ჰქონდა შიგნეულობა; სახლიც გაჩხრიკეს. დ—ანს ყუთში უნახეს სანსალა; მემრე ბეღელი გაალეს, იქ ძველ კალათში ამოიღეს სულ პარაშოკებათ გაკეთებული, ცალ-ცალკე ქაღალდებში გახვეული, ასე რომ ორ სოფელს მოწამლავდა, იმდენი იყო.

დედაკაცმა აღიარა, რომ იმას უნდოდა სიძის მოწამლა. ეს ამისთვის სთქვა, რომ არ შეიტანონ ეჭვი, რომ ის საწამლავი ჰქონდა მოტანილი სიძისაგან.

როგორც სჩანს გამოძიებისაგან, მღვდელი თ. პ—ძე არ რეულა ამ მოწამვლაში და არც სიძე. მაგრამ საწამლავი ვინ მოუტანა, გამოძიებამ ჯერაც ვერ მიაგნო.

აზნაურის ბარათაშვილის ქვრივმა ითხოვა საქვრივო გერებისაგან ს. ზოდს. სხვათა შორის, ერთ გერისქალის ქმარს უნდა მიეცა ექვსი თუმანი თავის წილათ. ეხლა იპოვნეს ის ქვრივი ქვით თავ-გატეხილი. ამბობენ, თავის გერის ქმარმა მოკლაო, მაგრამ, რადგან გამოძიებამ ჯერ მკვლელი ვერ აღმოაჩინა, ამის გამო ნამდვილი კაცმა არა იცის რა.

ყვირილის უეზდის სამმართველოს სეკრეტრის პატარიძისაგან შეჭმული ფული ოთხასი თუმანი მეტი ჩნდება და თან-და-თან მატულობს.

N.

# უცხო ქვეყნები

**ომის ამბავი.** ისე ცუდათ არ ყოფილა სერბიელებისა და საზოგადოთ მებრძოლ სლავიანების მდგომარეობა, როგორც ამ უკანასკნელ ხანებში იწერებოდნენ. მართალია, ჩერნიაევისა და სხვა სერბიის ჯარები უკან დაიწივნენ; მაგრამ ამ უკან დაწევას კარგი სამხედრო მნიშვნელობა აქვსო: დღემდი სლავიანების ძალა გაფანტული, გაცალკევებული იყო და ოსმალოების ჯარი, რომელიც რიცხვით თითქმის ყველა პუნქტებზე უმრავლესია სერბიელებზე, იმარჯვებდაო. დღეს კი უმთავრესი ძალა სერბიელებს ჩრდილოეთის სამზღვარზე, ტიმოკის ნაპირებზე, ზაიჩარის მახლობლად მოუგროვებიათ, რადგან აქედამ უფრო საშიშო არისო, რომ ვინიცობაა ოსმალოებმა გაიმარჯვონო, ბელგრადამდინ გახსნილი გზა ექნებათო. ოსმალოს ჯარიც აქ, ზაიჩართან, მოგროვილა და აქ გაცხარებულ ბრძოლას მოელიან.

— ჩერნოგორიელების საქმე კიდევ უკეთ მიდის. მართალია, ამას

წინათ, დამარცხების შემდეგ ჩერნოგორიელები წინ იფრინეს ოსმალოებმა; მაგრამ ახლა მოვიდა ქალაქში დეპეშა, რომ ივლისის 16-ს (28)-ს სასტიკი შეტაკება ჰქონიათ იმათ ოსმალოს ჯართან, რომელიც უკან მისდევდით და საშინლად დაუმარცხებიათ ესენი ბრბიცთანა. ამ ბრძოლაში თითქმის ოსმალოს ყველა აფიცრები დახოცილა და, სხვათა შორის, სულიმ-ფაშა დაუკავებიათ; დატუსაღებული ოსმანი კი ჩერნოგორიელებს ცეტინიეში გაუგზავნიათ. მუხტარ ფაშა თავის ჯარით ბილეკის ციხეშია თურმე და გარშემო ჩერნოგორიელების ჯარები ახვევიან.

— ყურადღების ღირსი ამბავი მოვიდა გუშინ პარიჟიდამ დეპეშით: უმთავრესი სახელმწიფოები ევროპისა დათანხმდნენ ერთმანეთში, რომ ოსმალოს მოსთხოვონ, რომ იმან სრული თავისუფლება და დაუმოკიდებლობა მიანიჭოს აჯანყებულ სლავიანებსაო.

— **მებრძოლთა სამხედრო ძალა.** ერთს ვენგრიულს გაზეთში მოყვანილია სერბიელებისა და ოსმალების ჯარის რიცხვი, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ

**სერბიელებს** ჰყავთ ამ ჟამად ათი დივიზია: 1) ჩრდილოეთის არმია —ჩერნიაევის ხელქვეით—სამი დივიზია; 2) დრინის არმია—ალიმპიჩის ხელ. ქვეით—სამი დივიზია; 3) ტიმოკის არმია—ლეშანინის ხელქვეით —ორი დივიზია (უკანასკნელი ცნობებით, ესა და ჩერნიაევის ჯარები შეერთდნენ); 4) იავორის არმია—ზახის ხელ-ქვეით—ერთი დივიზია; 5) ჩაჩაკში პოლკოვნიკი ზუჩევიჩი სდგას, რომელიც ამ დღეებში აგრეთვე ჩერნიაევის ჯარს შეუერთდა. სულ ეს ათი დივიზია რეზერვებით 150,000 კაცამდის შეადგენს. ამას გარდა არხიმანდრიტს დუჩიჩს 6,000 კაცი ჰყავს თავის ხელ-ქვეით.

რაც შეეხება **ოსმალოს** სამხედრო ძალას, იმის რიცხვი არის შემდეგი: ნიშთან—22,000 კაცი (სარდალი შევქეთ-ფაშა), პიროტთან—13 ათასი (ახმედ-ეიუბ-ფაშა), სოფიასა და ფილიპოპოლს შუა აბდულ-ქერიმ-ფაშა 25,000 კაცს აგროვებს, ვიდინსა და ტიმოკს შუა ოსმან-ფაშა სდგას 15 ათ. კაცით და 4 ათასი ჩერქეზით, ზვორნიკთან (ბოსნიაში) 6 ათ. ნიზამია, ახალ-ბაზართან ტრაპიზონის ნიზამი; ამათ გარდა სულეიმან-ფაშასა და მუხტარ-ფაშას ბოსნიაში და ჩერნოგორიაში 16 ათასი კაცი ჰყავთ.

—

**ინგლისი.** ლორდ დერბის პალატაში და დიზრაელის საზოგადოებათა პალატაში აღმოსავლეთის საქმეების თაობაზე უთქვამთ, რომ ჩვენი მმართებლობა სრულებით არ ერევა იმ ბრძოლაში, რომელიც ოსმალეთსა და სლავიანებს შუა არის ამჟამათაო და შემდეგში მხოლოთ იმას ეცდებაო, რომ მებრძოლთ შუა მშვიდობიანობა ჩამოაგდოს და მოარიგოსო. ზოგიერთ ორატორებს გამოუცხადებიათ ჰაზრი, რომ ოსმალეთს არ შეუძლიან ისეთი რეფორმების შემოღება, რომ სლავიანები დააკმაყოფილოსო.

# განცხადებანი


**LA VELOUTINE**

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

**pommade satin**

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—49


## ალ. ბეს. ჭიჭინაძის კერძო ორ-კლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ქუთაისში

მმართებლობის ნება-დართვით ჩემი ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი შევსცვალე **ორ-კლასიან პანსიონითვე სასწავლებლად,** რომელშიაც პირველი და მეორე კლასის სწავლის კურსი იმ პროგრამმისა იქნება, რა პროგრამმისაც გიმნაზიის მოსამზადებელი და პირველი კლასების სწავლის კურსია.

ვისაც ჰსურს ყმაწვილის შემოყვანა ამ სასწავლებელში, შეუძლიან მოიქცეს ჩემთან აგვისტოს 15-დამ დაწყებული ვიდრე სექტემბრის 15-მდის. ამაზედ გვიან ყმაწვილი აღარ მიიღება სასწავლებელში.

**პირობები:**

1) სასწავლებლის შაგირდები განიყოფებიან ორ ნაწილად: ა) მ ო მ ს ვ ლ ე ლ ე ბ ა დ, ე. ი. რომელნიც თავიანთ ბინაზე დგანან და სასწავლებელში კი მოდიან მხოლოდ სწავლისათვის და ბ) პ ა ნ ს ი ო ნ ე რ ე ბ ა დ, ე. ი. რომელნიც სასწავლებელთან მყოფ პანსიონში ჰსცხოვრობენ. პირველი განყოფილების შაგირდს, ე. ი. მხოლოდ შკოლაში მოსიარულეს თვითეულს შემოაქვს წელიწადში ორმოცი (40) მან., ხოლო მეორე განყოფილებისას ანუ პანსიონერს—ორას ორმოც-და-ათი (150) მანეთი.

2) ერთი ნახევარი ხსენებული ფულისა უეჭველად უნდა იქნეს შემოტანილი ყმაწვილის შემოყვანისათანავე - სექტემბერში და მეორე ნახევარი - 15 იანვრამდის.—შემოტანილი ფულის მაგიერ მარტო შკოლაში მოსიარულე ყმაწვილებს ექმნებათ სწავლა და პანსიონერებს—სწავლა, ბინა, სასმელ-საჭმელი, დაბანა, დარეცხა და ექიმი; ხოლო დანარჩენზე უნდა იზრუნონ მშობლებმა.

3) თუ დადებული ვადაზე ფული შემოტანილი არ იქმნა, მაშინ ქუთაისში მცხოვრები ყმაწვილი პირ-და-პირ გაეგზავნება მშობელს და სოფლელი ანუ ქუთაისის გარეშე მცხოვრები კი ჩაჰბარდება იმ პირს, რომელსაც მშობელი, ყმაწვილის შემოყვანის დროს, თავდებათ წარმოადგენს, რომ თუ კი მან (მშობელმა) ფული დროზე არ შემოიტანა, მაშინ ეს თავდები ვალდებული იქმნეს, შკოლის მზრუნველისაგან პირველისავე ცნობის შემდეგ—ერთი კვირის განმავლობაში, ყმაწვილი წაიყვანოს და ჩააბაროს მშობელს.

4) თუ მარტო შკოლაში მოსიარულე ყმაწვილმა არ წარმოადგინა დროზედ ფული, მაშინ მას დაუყონებლივ აეკრძალება სასწავლებელში სიარული და სწავლა.

5) ზემორე აღნიშნული ფული გადაიხდების მხოლოდ სასწავლებლო წლისათვის, რომელიც ჩვეულებრივ წელიწადზე ნაკლებია. ყმაწვილი რომ ავათ გახდეს, ან სხვა მიზეზით, რომელიც სასწავლებლის მზრუნველზე დამოკიდებული არ იქნება, ვერ იარს სასწავლებელში, ამისათვის ფული არ გამოირიცხება. არც მაშინ გამოირიცხება ფული, რომ ყმაწვილმა დაიგვიანოს და დროზე არ გამოცხადდეს სასწავლებელში.

**ადრესი:** სასწავლებელი იმყოფება ქუთაისში, რიონის მარჯვენა მხარეზე, მღვდლის ს. ჩარკვიანის სახლში.

**სასწავლებლის მზრუნველი ალექსი ბეს. ჭიჭინაძე**

(3—2)

ერთს ოჯახში, რომელშიაც რუსულს, ფრანცუზულს და ნემეცურს ენებზე ლაპარაკობენ, მიიღებენ საცხოვრებლად საქალებო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსწავლე ქალებს. პრაქტიკულად ენის შესწავლა შეიძლება. აქვე შეიძლება ფორტეპიანის გაკვეთილების (უროკების) აღება. პირობებზე მოლაპარაკება, წიგნით ან სიტყვიერად შეიძლება დიდს ვოდოვოზნის ქუჩაზე, აივაზოვის სახლებში, № 20, ანუ „დროების“ რედაქციაში.

(3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება

## ეშმაკის ხარო

მდაბიური ამბავი სარდ. მესხიევისა.

ფასი 5 კაპ.

ისყიდება ქალაქის ყველა წიგნის მაღაზიებში. (3—1)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა. . | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბელათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბელათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ:

საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს—პარასკ. და ორშაბ. ბაქოს—ორშ. სამშაბ. და შაბ. კახეთს—სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 17 ივლისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $3^1/_2$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $331^1/_2$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლის ფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 25 |
| მოგებიანი (პირველის სესხი) | 198 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 196 | 50 |
| ბირჟის ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 91 | 25 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკასის და მერკურის. . | 205 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 724 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 22 ივლისს | | |
| პური შორაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 30 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. . . | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | — |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | — |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 19 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 18 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Іюля 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.